პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 37 (6598)

23 1980 წ. თებერვალი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

უდიდესი ყურადღებით

ასობით მილიონი ადამიანი ეს თებერვალს უდიდესი ყურადღებით უსმენდა და უყურებდა ტელევიზიით მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრების პირდაპირ გადაცემას, რომელიც მიეძღვნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრას.

ცენტრალური ტელევიზია, საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური ტრანსლაციას აწარმოებდა კრემლის ყრილობათა სასახლიდან. გადაცემა მიმდინარეობდა აგრეთვე „ორბიტის", „ვოსტოკის" პროგრამებით.

„ინტერვიზიის" სისტემის მეშვეობით ამომრჩეველთა კრებას უყურებდნენ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში. სატელევიზიო ინფორმაცია ლ. ი. ბრეჟნევთან წინასაარჩევნო შეხვედრის შესახებ „ევროვიზიის" სისტემით მიიღეს აგრეთვე დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. (საკდესი).

ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები



შესანიშნავი ოთხეული

ვაუთა სათხილამურო ესტაფეტის (4X10 კმ) მონაწილე ათივე გუნდის წარმომადგენლები პირველი ეტაპის სტარტზე ისე ელოდნენ, თითქოს ამ სახეობის კი არა, მთელი თამაშების ბედი მათ დავაში წყდებოდა. შვედმა ლუნდბერგმა მესტარტის ნიშანს არ დაუცადა და სტარტი ნაადრევად აიღო. მას დანარჩენებმაც მიბაძეს. მესტარტის გაფრთხილება მონაწილეთაგან არავის გაუგონია. ისინი მხოლოდ „დერეფნის" ბოლოს აწეულმა თოკმა შეაჩერა.

ყველაფერი თავიდან დაიწყო. ვ. როჩევი (სსრკ) ოდნავ ჩამორჩა, დაეცა და „დერეფნიდან" უკანასკნელი გავიდა. წინ კი ძნელი 10 კილომეტრი იყო გასავლელი. საბჭოთა ოსტატმა უკვე მანძილის მესამედზე გამოასწორა მდგომარეობა, ხოლო შუა დისტანციის მერე ხელთ იგდო ლიდერობა, რომელიც ბოლომდე შეინარჩუნა. ეტაპის ფინიშზე მან უახლოეს მდევარს, ნორვეგიელ ერიკსენს 24 წამით მიასწორა.

როჩევმა ესტაფეტა ნ. ბაჟუკოვს გადასცა, ერიკსენმა — ოლანდს. ამ ეტაპზე ნორვეგიელმა შეძლო თანაგუნდელის დანაკარგის ანაზღაურება — ბაჟუკოვი და ოლანდი ეტაპის ფინიშთან ერთად მივიდნენ. მესამე ეტაპზე ე. ბელიაევს საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავდა აუნლის სახით. ლენინგრადელმა ოსტატმა აღმართების უკეთ დაძლევის წყალობით ისევ დააწინაურა თავისი გუნდი და ნორვეგიელები ისევ მდევრის როლში აღმოჩნდნენ. სამი ეტაპის შემდეგ (ჩვენები მოწინააღმდეგეებს 52 წამს უგებდნენ) აშკარა იყო, რომ გამარჯვების სასწორი საბჭოთა კვარტეტისკენ გადაიხარა.

უკანასკნელ 10 კილომეტრზე ლეიკ-პლესიდის თამაშების პირველი ოქროს მედლის მფლობელს ნ. ზიმიატოვს მონაპოვარის შენარჩუნება არ გასჭირვებია, პირიქით. ნორვეგიელი ბრო კარგად გრძნობდა, რომ „ოქრო" მათთვის დაკარგული იყო და იმასღა ცდილობდა, „ვერცხლიც" ხელიდან არ გასხლტომოდა.

ამრიგად, 4X10 კმ ესტაფეტაში საბჭოთა ნაკრებმა დამსახურებულად გაიმარჯვა — 1:57.03,46. ეს ჩვენი სპორტსმენების რიგით მერვე „ოქრო" იყო ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადაში. ნორვეგიელთა შედეგია 1:58.45,77. „ბრინჯაო" ფინეთის გუნდს ერგო — 2:00.00,18.

* * *

სურათზე: 4X10 კილომეტრზე ესტაფეტაში გამარჯვებული საბჭოთა გუნდის წევრები სიხარულით ჰაერში ისვრიან ნ. ზიმიატოვს, რომელმაც წარმატებით დაამთავრა ბოლო ეტაპი.

საკდესი—საქინფორმის ტელეფოტო.

ჰაიდენის მეოთხე „ოქრო"

ზამთრის ოლიმპიადების ისტორიაში პირველი სპორტსმენი იყო საბჭოთა მოციგურავე ლ. სკობლიკოვა, რომელმაც ერთ თამაშებში 4 ოქროს მედალი მოიგო. მას მერე კარგა ხანი გავიდა და აი ახლა, ლეიკ-პლესიდში მსოფლიო ჩემპიონმა ე. ჰაიდენმა 1500 მეტრზე რბენაშიც შესანიშნავად იასპარეზა და ოლიმპიური რეკორდით — 1.55,44 მეოთხე „ოქრო" მოიპოვა.

ჰაიდენმა სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონთან, ნორვეგიელ **კ. ხტენსჰელმეტთან** ერთად. ცხადია, ორი ასეთი ოსტატის დუელი მაღალი შედეგით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ იმას ვინ იფიქრებდა, რომ ამერიკელი მეორე პრიზიორს 1.37 წამს მოუგებდა.

მესამე ადგილიც ნორვეგიელს ერგო — **ტ. ანდერსენმა** თანამემამულესთან საბოლოო ჯამში მხოლოდ 0,11 წამი წააგო. კიეველი ი. კონდაკოვის მაჩვენებელი — 1.57,36 დიდხანს მეოთხე იყო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში მას ა. დიტელმა (გდრ) გაუსწრო.

შედარებით სუსტად გამოვიდნენ ვ. ლობანოვი (1.59,30, VIII ადგილი) და ე. სალუნსკი (1.59,47, X ადგილი).

კაზინსის წარმატება

წლევანდელი ზამთრის ოლიმპიადაზე პირველად აუღერდა დიდი ბრიტანეთის ჰიმნი — ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ფიგურულ სრიალში ინგლისელმა რ. კაზინსმა მწვავე ბრძოლაში ოქროს მედალი დაისაკუთრა — 189,48 (ადგილები ჯამი 13). ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოები შესაბამისად ე. ბოგოთ მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს ი. ჰოფმანს (გდრ) — 189,72 (15) და ამერიკელ ჩ. ტიკნერს — 187,06 (28).

ტურნირის დაწყებამდე კაზინსმა განაცხადა:

— ვერ ვიტყვი ვინ გაიმარჯვებს, ვინაიდან თანაბარი ძალის სპორტსმენები ბევრი ვართ.

კაზინსის მწვრთნელმა კ. ფასმ თქვა, რომ წარმატების მთავარ პრეტენდენტებად მიიჩნია თავისი მოწაფე, ვლადიმერ კოვალიოვი, იან ჰოფმანი და ჩარლზ ტიკნერი. კოვალიოვი ავადმყოფობის გამო ასპარეზობას გამოეთიშა.

ლენინგრადელმა ი. ბობრინმა VI ადგილი დაიკავა, მოსკოველი კ. კოკორა X ადგილზე გავიდა (საკდესი).

ქალებმა დავა დაამთავრეს

3000 მეტრზე რბენა იყო მოციგურავე ქალთა ოლიმპიური პროგრამის ბოლო სახეობა და, მაშასადამე, ამერიკული „ოქროს" მოპოვების უკანასკნელი შანსი. ეს შესაძლებლობა საუკეთესოდ გამოიყენა ლავრიკელმა გიმნაზიელმა, გოგონებს შორის მსოფლიო ჩემპიონმა **ბ.-ე. იენსენმა,** რომელმაც XIII თამაშებში პირველი ოქროს მედალი მოუტანა ნორვეგიას.

იენსენი პირველივე გარბენში ამერიკელთა იმედთან **ბ. ჰაიდენთან** გამოდიოდა და ალბათ გამარჯვებისკენ ნორვეგიელის თავდაუზოგავი სწრაფვის შედეგია, რომ ჰაიდენმა ამ თამაშებში თავისი პირველი მედალი მოიპოვა — მართალია ბრინჯაოსი, მაგრამ მაინც ოლიმპიური — 4.33,77. ჩემპიონმა კი ისეთი დრო (4.32,13) აჩვენა, რომლის მსგავსი ამ დისტანციაზე აქამდე მსოფლიოში არავის ჰქონია, მაღალმთიან საციგურაოზეც კი. იენსენი საათში საშუალოდ 42 კმ-ის სისწრაფით გარბოდა!

ჰაიდენი დიდხანს იმედოვნებდა, რომ „ვერცხლს" მიიღებდა, მაგრამ ერთ-ერთ გარბენში **ს. ბეკერმა** (გდრ) თითქმის წამით უკეთესი შედეგი აჩვენა და II ადგილს დაეპატრონა.

საბჭოთა სპორტსმენებიდან ამ დისტანციაზე ყველაზე უკეთ ოლიმპიური ჩემპიონი ნ. პეტრუსიოვა გამოვიდა. მან საკმაოდ კარგი დრო (4.42,52) აჩვენა, მაგრამ მხოლოდ მეშვიდე შედეგი გამოდგა. IX იყო ო. პლეშკოვა — 4.43,11.

რევანში

სწრაფდაშვებაში დამარცხების შემდეგ **ჰ. ვენცელი** (ლიჰტენშტეინი) გიგანტურ სლალომში შეეცადა ა. მოზერ-პრიოლზე (ავსტრია) რევანშის აღებას და უკვე პირველ დაშვებაში 1170-მეტრიანი (50 კარი) ტრასა უშეცდომოდ გაიარა — 1.14,33.

როცა ყველა მონაწილემ თავისი ვალი მოიხადა, გაირკვა, რომ ვენცელი უახლოეს მეტოქეს, **ი. ეპლეს** (გფრ) 1,31 წამს უგებდა. რაც შეეხება პრიოლს, მასთან დუელი ამჯერად არ შედგა. იგი შედარებით ცუდად დაიშვა.

მეორე დღეს ქალები კვლავ გამოვიდნენ გიგანტური სლალომის ტრასაზე. ვენცელმა კვლავ შესანიშნავად იასპარეზა და საბოლოოდ ოქროს მედალი დაისაკუთრა — 2.41,66. ეს მეორე ჯილდოა ლიჰტენშტეინელი სპორტსმენისა, რომელმაც სწრაფდაშვებაში მხოლოდ პრიოლთან წააგო.

ვერცხლის მედალი მოიპოვა ეპლემ — 2.42,12, ბრინჯაოსი — **ჰ. პელენმა** (საფრანგეთი) — 2.42,41.

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ნ. ანდრეევა. იგი მე-12 ადგილზე გავიდა.



„წითელ" ქვეჯგუფში საბჭოთა ჰოკეისტების ბოლო და ყველაზე უხერხული მეტოქე იყო კანადის გუნდი. ეს უკანასკნელი წარმატების შემთხვევაში ფინალში 2 „ოქროს ქულით" გადიოდა, საბჭოთა ნაკრები — ნულით, ხოლო თუ მატჩი ჩვენების გამარჯვებით დამთავრდებოდა, მაშინ კანადელებს ცდა მოუწევდათ მანამ, ვიდრე ფინეთი ჰოლანდიასთან არ გაარკვევდა ურთიერთობას. ალბათ ამანაც განაპირობა მატჩის დაძაბულობა.

უკვე მეორე წუთზე კანადელმა ნიუმ გახსნა ანგარიში. საბჭოთა ნაკრებს 11 წუთზე მეტი დასჭირდა მდგომარეობის გასათანაბრებლად (ბალდერისი).

მეორე პერიოდში კანადელმა მცველებმა გრეგმა და პირიმ ისარგებლეს ტრეტიაკის შეცდომით — 3:1. შესვენებამდე რამდენიმე წამით ადრე კასატონოვმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა.

მესამე, გადამწყვეტ პერიოდში საბჭოთა სპორტსმენებმა ყინულზე ნამდვილი ცეცხლი დაანთეს და ა. გოლიკოვმა წუთნახევარში არა მარტო გაათანაბრა ანგარიში, არამედ დააწინაურა კიდეც თავისი გუნდი. ეს იყო გარდატეხის პერიოდი. საბოლოოდ მატჩი დამთავრდა საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით — 6:4.

„წითელ" ქვეჯგუფში ფინელებმა მოუგეს ჰოლანდიელებს — 10:3 და ფინალის საგზური მიიღეს. პოლონელებმა დაამარცხეს იაპონელები — 5:1, რის შემდეგ ამ ქვეჯგუფში გათამაშების საბოლოო ცხრილმა ასეთი სახე მიიღო:

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	5	5	0	0	51—11	10
ფინეთი	5	3	0	2	26—18	6
კანადა	5	3	0	2	28—12	6
პოლონეთი	5	2	0	3	15—23	4
ჰოლანდია	5	1	1	3	16—43	3
იაპონია	5	0	1	4	7—36	1

მესამე პერიოდში

მეორე, ანუ „ლურჯ" ქვეჯგუფში ძნელი ამოცანის წინაშე იყო ჩეხოსლოვაკიის ნაკრები. მას შვედები აუცილებლად უნდა დაემარცხებინა, მაგრამ თვითონ დამარცხდა — 2:4 და იძულებული გახდა V ადგილისთვის იბრძოლოს. ამავე ქვეჯგუფში მეორე ფინალისტი გახდა აშშ-ს ნაკრები, რომელმაც მოუგო გფრ-ს გუნდს — 4:2. რუმინეთისა და ნორვეგიის კოლექტივების მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

გათამაშების საბოლოო ცხრილი ქვეჯგუფში:

შვეიცია	5	4	1	0	26—7	9
აშშ	5	4	1	0	25—10	9
ჩეხოსლოვაკია	5	3	0	2	34—16	6
რუმინეთი	5	1	1	3	13—29	3
გფრ	5	1	0	4	21—30	2
ნორვეგია	5	0	1	4	9—36	1

ფინალურ ჯგუფში, სადაც უნდა გადაწყდეს ოლიმპიური მედლების ბედი, პირველ მატჩში თამაშობენ: **სსრ კავშირი — აშშ** და **შვეიცია — ფინეთი.** ამ ჯგუფში 2 ოქროს ქულით არიან საბჭოთა სპორტსმენები, თითო ქულით — აშშ-სა და შვეიცის გუნდები, რომლებმაც ოლიმპიადის სტარტზეგე ერთმანეთთან ფრედ ითამაშეს.

* * *

სურათზე: ვ. ვასილიევი და ვ. ტრეტიაკი უკნებელყოფენ კანადელთა შეტევას.

საკდესი — საქინფორმის ტელეფოტო.

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

რუსთაველის პროსპექტზე...

ვისაც ამ დღეებში თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე ჩაუვლია, უთუოდ შეამჩნევდა ოფიცერთა სახლის ვიტრინაში მოწყობილ ფოტოსტენდს, სადაც ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საუკეთესო სპორტსმენთა პორტრეტებია გამოფენილი. მათ შორის არიან: მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, მოჭადრაკე ნ. გაფრინდაშვილი, აკროპატები — სსრ კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები ნ. კოკილაშვილი, მ. ფნათობიშვილი და მ. შილაკაძე; ძიუდოისტები — ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ლეიტენანტი რ. ხარშილაძე, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, პრაპორშჩიკი შ. ხაბარელი, სსრ კავშირის ჩემპიონი, პრაპორშჩიკი დ. ბოდაველი; კლასიკური სტილის მოჭიდავეები, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები და პრიზიორები — პრაპორშჩიკი ა. ბაბიაშვილი და ა. მაისურაძე; ტანმოვარჯიშე — სსრ კავშირის ჩემპიონი მ. თათარაძე და სხვები.

ა. რაჰველიშვილი.

* * *

სურათზე: ფოტოსტენდთან. ავტორის ფოტო.

ერთგულება

ანდრო ღონღაძე მოკრძალებული კაცია. სიტყვაძვირი. ვინც ეს იცნობს, იცის, რომ ამ ამაგდარ ექიმს კაცურ კაცად უვლია ცხოვრების შარაგზაზე. უვლია და ბოლომდე მოუტანია მამულის, თავისი კეთილშობილი პროფესიისა და... ჭადრაკის უზომო სიყვარული.

თბილისელი მოსწავლე იყო ანდრო, ჭადრაკმა რომ მოინადირა მისი გული. სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას პირველთანრიგოსანიც გახდა, თბილისის პირველობებშიც მონაწილეობდა. ამბობდნენ, ანდრო ღონღაძეს კარგი მომავალი აქვსო.

მაგრამ ფაშისტური გერმანია თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას. აღსდგა საბჭოთა ხალხი მამულის დასაცავად. მეომრის ფარაჯა გადაიცვა ახალგაზრდა ექიმმა ანდრო ღონღაძემაც. პირველი საბრძოლო ნათლობა სტალინგრადთან მიიღო. მთელი ოთხი წელი ანდრო ღონღაძემ ფრონტზე გაატარა და, რაც საინტერესოა, თავიდან ბოლომდე, ერთი, 126-ე დივიზიის ჯერ რიგითი, მერე 1942 წლიდან წამყვანი ქირურგი იყო. თავად ერთხელაც არ დაჭრილა, თუმცა ძალიან ხშირად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. მისი მხედრული გზა ყირიმიდან ბალტიისპირეთში, პოლონეთიდან გერმანიაში სამი საბრძოლო ორდენით და 16 მედლით აღინიშნა.

შინ დაბრუნებულმა ომგადახდილმა ახალგაზრდა მაიორმა მუშაობა დაიწყო თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამხედრო კათედრებზე და მაშვრალივით დაეწაფა ჭადრაკს — აქტიურად ჩაება საჭადრაკო ცხოვრებაში.

ანდრო ღონღაძე მონაწილეობს საქართველოს პირველობების ფინალში. 1947 და 1948 წლების პირველობებში იგი მეშვიდე ადგილზეა, შეყავთ რესპუბლიკის მოჭადრაკეთა ნაკრებში და სსრ კავშირის 1948 წლის გუნდურ პირველობაში მონაწილეობს. 1953 წელს პირველთანრიგოსანი ექიმი სპორტსაზოგადოება „მედიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა.

1956 წლიდან ცხრამეტი წლის მანძილზე ანდრო ღონღაძე თბილისის მე-4 კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი იყო და თუმცა მოჭადრაკეებთან საასპარეზოდ დრო აღარ რჩებოდა, მაინც არ სტოვებდა ჭადრაკის სამყაროს. როცა შესაძლებლობა მიეცემოდა, თვით ჩვენს პირველ ოსტატ ვ. გოგლიძეს ეპაექრებოდა შინ.

1976 წლიდან ანდრო ღონღაძე მოჭადრაკეთა ექიმია. მისი, როგორც საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის ცოდნა და გამოცდილება დიდად სასარგებლო აღმოჩნდა.

ამჟამად ანდრო ღონღაძე მოღვაწეობს ფიზკულტურის რესპუბლიკურ დისპანსერში. მას ყოველთვის იწვევენ დიდი ტურნირისა თუ მატჩის ექიმად. მაგალითად, იგი იყო საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრების ექიმი სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზე მოსკოვში. მოჭადრაკეებმა იციან, რომ ანდრო ექიმი მათ ყურადღებასა და მზრუნველობას არ მოაკლებს, წამალსაც მიაწვდის და კეთილ სიტყვასაც.

— ჩემი დაკვირვებით მოჭადრაკეებს აუცილებლად სჭირდებათ ფიზიკური ვარჯიში, კუნთების გამაგრება, რასაც, სამწუხაროდ, ისინი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. — ამბობს გამოცდილი მკურნალი. — ამ მხრივ შევამონმეთ ჩვენი დიდოსტატები და ვარჯიშ-მკურნალობაც დავუნიშნეთ. საერთოდ, აუცილებელია მეტი გაკეთდეს ჩვენი მოჭადრაკეების საექიმო მომსახურების მხრივ.

ჭადრაკის სასახლის დირექციამ სასახლეში საექიმო კაბინეტი გახსნა, დისპანსერმა კი იგი მედიკამენტებით აღჭურვა.

ყოველივე ეს ახარებს ომგადახდილ მკურნალს ანდრო ღონღაძეს, როგორც ის, რომ ახლოსაა ჭადრაკის სამყაროსთან და ზოგჯერ კარგ მეტოქესთანაც გაპაექრების შესაძლებლობაც აქვს...

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: ანდრო ღონღაძე თავის პაციენტთან — მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესთან ერთად.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



ნაკვალევი არ წავშალოთ



„1977 **წელს** გარდაიცვალა ჩემი შვილი, შოთა ზარდიაშვილი. [illegible]ის დღეს წინადადება შემოიტანეს, რომ მის მოსაგონებლად ჩაეტარებინათ შოთას სახელობის საავტომობილო რბოლა, მაგრამ, ნათქვამი ნათქვამად დარჩა და დაპირება არავინ შეუსრულებია“.

ამ წერილის ავტორი გიორგი ზარდიაშვილია, მამა იმ ღვაწლმოსილი ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი შესაძლებლობა მოახმარა საქართველოში საავტომობილო სპორტის განვითარებას.

შოთა ზარდიაშვილი იყო რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი, სსრ კავშირის ჩემპიონი საავტომობილო-საგზატკეცილო წრიულ რბოლაში, სპორტის ოსტატი.

შოთა ზარდიაშვილმა 1959 წელს თვითმაკეთი ავტომობილით III ადგილი მოიპოვა საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ერთი წლის შემდეგ კი ამავე მანქანით — II ადგილი.

1961 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და დაჯილდოვდა დიდი ოქროს მედლით. ამავე წელს მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გუნდურ შეჯიბრებაში (პოლონეთი, გდრ, ფინეთი, ჩეხოსლოვაკია, სსრკ) და გახდა საერთაშორისო ავტოსატრანსპორტო რბოლის ერთგული გუნდების კაპიტანი.

სპორტსმენის ცხოვრების დაწვრილებითი ცნობების შეკრებად მამას — გიორგი ზარდიაშვილს ვესტუმრე. თვალები აუცრემლდა მოხუცს თავისი შვილის ხსენებაზე — ნუთუ კიდევ ახსოვსო ვისმეს ზარდიაშვილი, — საუბარი დიდხანს ვერ შეძლო, მერე კი მთხოვა, შოთას შესახებ წერილობით მოგაწვდითო ცნობებს. მეორე დღეს ბარათი დამახვედრა, აკანკალებული ხელით დაეწერა ქაღალდზე თავისი შვილის ბავშვობა და მისი პირველი გატაცება საავტომობილო რბოლით:

„ჩემი შვილი ბავშვობიდანვე ნატრობდა, რომ მისთვის ველოსიპედი მეყიდა. წინააღმდეგი კიყავი მისი სურვილისა, ვფიქრობდი, გაკვეთილებს კარგად ვეღარ მოამზადებს-მეთქი.

ჩემს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი ავტომექანიკოსები: დავით ბერუჩაშვილი, შალიკო სუხიშვილი და ჩემი ძმა გრიგოლ ზარდიაშვილი, რომელთაც საქართველოში 1927 წელს პირველად მოაწყვეს მოტორობოლა. მათი საუბარი ავტორბოლაზე შოთას დიდ ინტერესს იწვევდა.

არ მახსოვს კარგად, მგონი 1936 წელს დავით ბერუჩაშვილმა წამიყვანა ველოტრეკზე. იქ ვნახე, თორმეტიოდე წლის ბიჭუნას დაჰყავდა მოტოციკლეტი. გამიკვირდა, როგორ მართავდა ეს ერთიბეწო ბავშვი, ან მშობლებს არ ეშინოდათ? რას მოკიფიქრებდი, რომ ის ჩემი შოთა იყო. მას შემდეგ არ მოშორებია თავის საყვარელ საქმეს. ავტოინჟინერი მინდა გამოვიდეო, სულ ამას ამბობდა. მაგრამ, ომმა შეუშალა ხელი, სასწავლებლის დამთავრება აღარ დასცალდა, 18 წლისა წავიდა ფრონტზე“.

დანარჩენი უკვე ვიცით, როგორ იცხოვრა ამ ქვეყანაზე, როგორ დაამჩნია თავისი ნაკვალევი ქართველ რაინდთა და პატრიოტთა ნავალ გზას... ჩვენ კი ერთი რამ დაგვრჩენია, პატივი ვცეთ მის ხსოვნას — ხომ შეიძლებოდა მოგვეწყო მისი სახელობის რბოლა!

მ. ჩალათაშვილი.

* * *

სურათზე: შოთა ზარდიაშვილი.

მუდამ მწყობრში

გაგრის სპორტული ბანაკის (სადაც საქართველოს სპორტსმენები საკავშირო პარადისთვის ემზადებოდნენ) მშვიდი ცხოვრება განგაშმა შეწყვიტა. მზით გარუჯულმა ჭაბუკებმა და ქალიშვილებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ამ წუთიდან მათი ცხოვრება მოულოდნელი კალაპოტით წარიმართებოდა — ომი დაიწყო!

...მათ შორის, ვინც პირველი ჩადგა წითელი არმიის რიგებში, იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის მრავალგზის ჩემპიონი ესპადრონში სპორტის ოსტატი ოთარ დიღებულიძე.

მზვერავმა, კომუნისტმა ო. დიდებულიძემ მშობლიური კავკასიიდან ბერლინამდე 1417 დღე იარა და ამ ხნის განმავლობაში ვინ მოთვლის რამდენჯერ ყოფილა. ბედის მადლიერი, რომელმაც იგი სპორტში მიიყვანა. ცურვა, ხტომა, სირბილი, შორს და ზუსტად ყუმბარის ტყორცნა, სროლა, ხიშტით ბრძოლის წარმოება — აუცილებელი იყო მებრძოლისთვის.

...უკან დარჩა ყირიმი, დონი, დნეპრი. გაიარეს უკრაინა, წინ იყო პოლონეთის მიწა. საგანგებო სადაზვერვო ქვეგანყოფილების რადისტი ოთარი სხვებთან ერთად მიმოწერაფოდა წინ, ბერლინისკენ. ბრძოლები პოლონეთის მიწაზე: ლიუბლინი, კრაკოვი, ლოძი, ვარშავა... ამ ქალაქებში ისინი პირველები შეკრიბნენ, გათავისუფლეს ადამიანები, გადარჩინეს ბავშვები, რომლებიც ფაშისტებს „სიკვდილის ინკუბატორში“ ჰყავდათ დამწყვდეული; ხელში ჩაიგდეს ჰიტლერელების არქივები და საიდუმლო საბუთები...

ახალგაზრდა ჭაბუკი სკოლაშივე გაეტაცა სპორტმა. თანაც არა ერთმა, არამედ რამდენიმე სახეობამ. ვარჯიშობდა მძლეოსნობაში, ცურვაში, ფარიკაობაში, ტანვარჯიშში — თავისებურ „სპორტულ მრავალჭიდში“. ყველაზე მეტად კი ესპადრონი, დაშნა და ხიშტით ბრძოლა შეიყვარა. წარმატებამაც არ დააყოვნა — 1936 წლიდან ომის დაწყებამდე იგი საქართველოს უცვლელი ჩემპიონი იყო. 1938 წელს მუშურ-გლეხური წითელი არმიის სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა და პირველი პრიზი პირადად მარშალმა ბუდიონმა გადასცა; ორი წლის შემდეგ კი ოთარმა საკავშირო პირველობა მოიგო ფარიკაობაში.

...ლოძის საპატიო მოქალაქე, ჩვენი თანამემამულე ო. დიდებულიძე ბერლინამდე ჩავიდა, იქ ავტოგრაფი დატოვა რაიხსტაგზე, შინ გამარჯვებული ჩამოვიდა და საყვარელ საქმეს — სპორტს დაუბრუნდა. მუშაობდა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროს მასწავლებლად. ამჟამად პენსიონერია. მასთან ხშირად დადიან სტუმრად ისინი, ვისაც ავარჯიშებდა, ვინც სპორტის ოსტატები გახადა ფარიკაობაში — არჩილ და გიორგი გოგელიები, ეწევიან ხოლმე საქართველოს კომკავშირის ვეტერანები. კოლეგები თავს იყრიან ომის ვეტერანთა სექციაში, რომლის შემადგენლობაშიც ოთარი რამდენი ხანია შედის, ამავე დროს ხელმძღვანელობს ომგადახდილ სპორტის ვეტერანთა სექციას.

წითელი ვარსკვლავის ორდენი, 15 მედალი, მოძმე პოლონეთის საპატიო საბრძოლო ნიშნები და ჯილდოები — მედლები „გამარჯვებისა და თავისუფლებისთვის“, „ვარშავისთვის“, „ოდერის, ტისსა და ბალტიკისთვის“ და „გრუნვალდის ნიშნის“ ორდენი დღესასწაულის დღეებში მკერდს უმშვენებენ ვეტერანს, სპორტსმენს, გამამთავისუფლებელ მებრძოლს.

საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე მებრძოლი სულის კვეთებით ხვდება საბჭოთა არმიის 62-ე წლისთავს, როგორც ერთერთ საყვარელ ზეიმს. იგი ხომ დღესაც მწყობრში დგას და ერთგულად ემსახურება სამშობლოს.

ბ. კოვალიოვი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილების გაზიარების მიზნით

ამ დღეებში თბილისის განათლების სამმართველოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სკოლის (დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. იმნაძე) დარბაზი თბილისელი ჭაბუკი ტანმოვარჯიშეების ერთობლივ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას მასპინძლობდა.

საქართველოს სპორტკომიტეტისა და განათლების სამინისტროს ინიციატივით თბილისში მოწვეული იყო საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, მოსკოველი სპორტის ოსტატი ბორის მიხეევი. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სასწავლო-საწვრთნელი შეკრება თბილისელ ნორჩ ტანმოვარჯიშეებთან და მწვრთნელებთან. განხილულ იქნა ჭაბუკთა მომზადების საკითხები ტექნიკურ, სპეციალურ და საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

შეკრების დასასრულს ვესაუბრეთ ჩვენს სტუმარს, ბ. მიხეევს. აი, რა გვითხრა მან:

— შეკრება თანამედროვე ფორმაა მაღალი კლასის ტანმოვარჯიშეთა მომზადებისათვის. ასეთი შეკრებები უფრო შედეგიანი რომ იყოს, მათი ხანგრძლივობა, სულ მცირე, 18 დღემდე მაინც უნდა გაიზარდოს. ჭაბუკთათვის ეს მნიშვნელოვანი სტიმულია, ისინი უფრო ეჩვევიან თავიანთ ამხანაგებს, უმეგობრდებიან ერთმანეთს. მწვრთნელთათვის კი ეს დიდი სკოლა და თავისებური სწავლებაცაა. ისინი მეცადინეობის პროცესშივე გადაეცემდნენ ერთმანეთს გამოცდილებას, გარდა ამისა, ეს კოლექტივის შედუღაბებაც უწყობს ხელს. ალბათ ღონისძიებები წლის განმავლობაში 2-3-ჯერ მაინც უნდა ტარდებოდეს, რაც საქართველოს ნაკრები გუნდის მომავალი გამარჯვებისაწინდარი იქნება. საქართველოს ტანვარჯიშის უკეთესი მერმისისათვის კარგი იქნება, აგრეთვე, კვირაში ერთხელ ჩატარდეს თბილისელ ტანმოვარჯიშეთა ერთობლივი საწვრთნელი მეცადინეობა. თბილისელ ჭაბუკებს შორის ბევრია კარგი ფიზიკური მონაცემებით დაჯილდოებული ტანმოვარჯიშე, მაგრამ უმეტესობას ტექნიკური მომზადება აკლია, რაც უახლოეს ხანში უნდა გამოსწორდეს. ამ შეკრების მიზანიც სწორედ ეს იყო.

გ. დოლენჯაშვილი.

* * *

სურათებზე: ბ. მიხეევი (მარცხნიდან პირველი) თბილისელ მწვრთნელებთან; ლ. გოგოლაძე, დ. სისაური, დ. თათარაშვილი.

ავტორის ფოტოები.

„ლელოს“ პრიზებზე

უძლიერესია „დინამოს“ გუნდი

სამთო-სათხილამურო სპორტში საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს, რომლებიც ბაკურიანის ტრასებზე 6 დღის განმავლობაში „ლელოს“ პრიზებისათვის იბრძოდნენ, შეიძლება ითქვას, პარალელურად მეორე დიდი ასპარეზობაც „ჰქონდათ“... ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიადა.

მართლაც, როგორც კი დაეშვებოდნენ (შეჯიბრების შონაწილენი კოხტიდან, პირდაპირ სათხილამურო ბაზას მიაშურებდნენ, რათა წითელ კუთხეში მისჯდომოდნენ ტელევიზორის ოლიმპიურ ეკრანს. საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვებები შორეულ ლეიკ-პლესიდში ბაკურიანის სტარტების მონაწილეებს საკუთარ გამარჯვებაზე არანაკლებ უხაროდათ, განსაკუთრებით — საქართველოს სპორტკომიტეტის სათხილამურო ბაზაში. ლეიკ-პლესიდის მზადების დასკვნითი ეტაპი ქვეყნის ნაკრებმა გუნდებმა (რბოლაში, ბიატლონში, ორეიდინში) ხომ სწორედ აქ გაიარეს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ როცა ოლიმპიადიდან ჩვენი სპორტსმენების პირველ წარმატებათა ამბავი მოვიდა, ბაზიდან ლეიკ-პლესიდში მისალოცი დეპეშა გაგზავნეს ნიკოლოზ ზიმიატოვისა და ვასილი როჩევის სახელზე. ახალგაზრდა თანამშრომლები თ. თვაური, ც. გავა, ს. ხუთაგაშვილი, ნ. ჯეირანაშვილი, მ. მიქაბერიძე დიდი მონდომებით და სიყვარულით, ოპერატიულად უშვებდნენ ილუსტრირებულ საინფორმაციო ფურცლებს. აი, იმ სალამოსაც დაფაზე ბალდიჩევას, როჩევას, კულაკოვასა და სმეტანინას ფოტოსურათები გააკრეს.

...გუშინწინ და გუშინ საკავშირო ჩემპიონატის დასკვნით IV ტურში უკანასკნელი სტარტები გაიმართა. პროგრამაში იყო სპეციალური სლალომი.

პირველნი საასპარეზოდ ვაჟები გამოვიდნენ. უძლიერესი ს. ნაზაროვი („შრომითი რეზერვები“) იყო — 1.44,31. II ადგილზეა ვ. სმირნოვი („ზენიტი“) — 1.44,93, მესამეზე — ვ. მელნიკი („დინამო“) — 1.45,07. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს ს. მიქაბერიძეს მე-16 შედეგი ჰქონდა — 1.49,92. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა მოთხილამურემ გ. დიაკონაშვილმა პირველი ტრასის გავლისას VII შედეგი აჩვენა — 50,18.

58 მონაწილე გამოვიდა ქალთა შეჯიბრების სტარტზე. თანაბრად გაიარა ორივე ტრასა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ლენინგრადელმა რ. რეუსმა (58,87 და 58,17), რომელმაც პირველობა მოიპოვა — 1.57,05. მეორე იყო ახალგაზრდა კემეროველი ო. კარელინა („ბურევესტნიკი“) — 1.58,81, მესამე — ნ. პერჩატკინა— 1.59,15.

მ. კოზანაშვილს XIV შედეგი ჰქონდა — 1.62,42.

ამრიგად, „ლელოს“ პრიზები წლევანდელი მფლობელები სამჰიდის ჯამში გახდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ნ. პერჩატკინა („დინამო“, ლვოვი) და ი. იუდინი „ბურევესტნიკი“, მინსკი).

საკავშირო ჩემპიონატის ოთხივე ტურის შედეგები შეჯამების შემდეგ გაირკვა გამარჯვებულიც — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ნაკრები.

გუშინვე საზეიმო ვითარებაში გაიმართა გამარჯვებულთა დაჯილდოება მედლებით, საკავშირო სპორტკომიტეტის დიპლომებით და გაზეთ „ლელოს“ თასებითა და სიგელებით.

ო. ნოზაძე.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

● ფეხბურთი

თამაშობენ ოსტატები

ამ დღეებში ფოთის, ბათუმისა და სოხუმის სტადიონებზე დიდი გამოცოცხლება იყო. კაიმართა საფეხბურთო მატჩები უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების გუნდების მონაწილეობით.

ფოთში ადგილობრივმა „კოლხეთმა“ მიიღო თბილისის „დინამო“. დინამოელებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 4:0, 2 ბურთი გაიტანა ჩელებაძემ (1 — პენალტით), თითო — ყიფიანმა და მინაშვილმა. თბილისელთა შემადგენლობაში იყვნენ: გაბელია, სულაქველიძე, ქორიძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, მინაშვილი, ყიფიანი, ჩელებაძე.

ბათუმისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრაში უპირატესობა ეკავა თბილისელებს ჰქონდათ, რომლებმაც აქაც გაიმარჯვეს — 5:1. 2 ბურთი გაიტანა ჩელებაძემ (1 — პენალტით), თითო — დარასელიამ, სულაქველიძემ და კოპალეიშვილმა. საპასუხო გოლის ავტორი იყო მენაბდე, ამას გარდა, ბათუმელმა გორგილაძემ ვერ გამოიყენა პენალტი. თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა იგივე იყო, ოღონდ კარს იცავდა მაძინაშვილი, შესვლების შემდეგ კი შემცვლელად გამოვიდნენ მელქია, ქაკილაშვილი და თავაძე.

ფოთსა და ბათუმში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს მოუწყეს გულთბილი შეხვედრები.

ოლიმპიური შესარჩევი...

გრძელდება ოლიმპიური შესარჩევი საფეხბურთო ტურნირები.

ევროპის II ჯგუფში იტალიელებმა ანკარაში დაამარცხეს თურქეთის გუნდი — 2:0 (0:0) და 4 ქულა დააგროვეს 4 შესაძლებლიდან. ამავე ჯგუფში იუგოსლავიელებმა დააგროვეს 2 ქულა, თურქეთის ნაკრებმა კი ორივე შეხვედრა წააგო.

ევროპის III ჯგუფში ბელგიის გუნდმა შინ მიიღო საფრანგეთის ნაკრები და გაიმარჯვა ანგარიშით 4:2 (1:0), რის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი აქვს — 4. სულ თითო ქულა დააგროვეს ესპანელებმა და ფრანგებმა.

კიგანის არჩევანი

პრესაში არაერთხელ დაიწერა იმის თაობაზე, რომ ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, ევროპის „ოქროს ბურთის“ ორგზის ლაურეატი კ. კიგანი აღარ აპირებს „ჰამბურგერ შპორტფერაინში“ დარჩენას.

კ. კიგანი, მართლაც, დიდხანს იდგა არჩევანის წინაშე და ბოლოს გადაწყვიტა 2-წლიანი კონტრაქტისთვის მოეწერა ხელი ინგლისის კლუბ „საუთჰემპტონთან“. როგორც კი გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკის ჩემპიონატი დამთავრდება, კიგანი დაბრუნდება ინგლისში და უკვე ამ ზაფხულს „საუთჰემპტონის“ ფორმას ჩაიცვამს.

ჭირვეული ხ. ვაისვაილერი

ერთობ ჭირვეული ხასიათით გამოირჩევა დასავლეთგერმანელი მწვრთნელი ხ. ვაისვაილერი. იგი დიდხანს არსად ჩერდება, ხშირად იცვლის ადგილებს თვით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც და უცხოეთშიც. წარმატებები კი მუდამ თან ახლავს. ბოლო ხანებში მისი ხელმძღვანელობით რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა „კიოლნი“.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ხ. ვაისვაილერს ამ კლუბის ხელმძღვანელებთან და ფეხბურთელებთანაც მოუხდა კონფლიქტი და მაშინვე დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ. ხ. ვაისვაილერს ერთობ სარფიან კონტრაქტს სთავაზობს ნიუ-იორკის „კოსმოსი“.

საფრანგეთი

XXIV ტურის შემდეგ ჩემპიონობის პრეტენდენტი სულ 3 გუნდია. „მონაკო“ (37 ქულა), „ნანტი“ (35) და „სენტ-ეტიენი“ (34).

„მონაკოში“ ამჟამად ყველაზე უკეთ თამაშობენ მეკარე ეტორი, ნახევარმცველი პეტი და თავდამსხმელი ონი (არგენტინა), რომელიც ახლა დასავლეთგერმანელ კოსტედესთან (გამოდის „ლავალში“) 15 გოლით ლიდერობს სნაიპერთა ცხრილს. „ნანტში“ გამორჩეულან მცველი ბოსისი და თავდამსხმელი ამისი. ყველაზე უკეთესი შემადგენლობა, ეტყობა, მაინც „სენტ-ეტიენს“ ჰყავს: ჩინებული მეკარე ჩურკოვიჩი (იუგოსლავია), ძლიერი შუა ხაზი (უპირველეს ყოვლისა, პლატინი, შემდეგ — ლაროში და ელი). წინ მეტად აგრესიულად თამაშობს „ბასტიადან“ გადმოსული რეპი (ჰოლანდია), რომელმაც 14 ბურთი გაიტანა.

აი, როგორ გამოიყურება სადღეისოდ ფრანგი ეურნალისტების აზრით, პირველი დივიზიონის ნაკრები: ეტორი („მონაკო“), ბატისტონი („მეცი“), სპენტი („რესინგი“, სტრასბურგი) ან რიო („ნანტი“), ლოპესი („სენტ-ეტიენი“), ბოსისი („ნანტი“), პეტი („მონაკო“), ელი, პლატინი, ზიმაკო (სამივე — „სენტ-ეტიენი“), ონი („მონაკო“), ამისი („ნანტი“).

შოტლანდია

იმის გამო, რომ XXIII ტურში მეორე ადგილზე მყოფმა „მორტონმა“ წააგო ედინბურგში „ჰიბერნიენთან“ — 2:3, ლიდერის—„სელტიკის“ მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა, თუმცა, მან სტუმრად ფრედ (1:1) ითამაშა „პარტიკ თისლისთან“.

ახლა „სელტიკს“ 22 თამაშიდან 31 ქულა აქვს და საგრძნობლად უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „მორტონს“ (26 ქულა 23 თამაშიდან). ასეთი შედეგის მიუხედავად, „სელტიკის“ მწვრთნელს მაკნეილს მაინც მიაჩნია, რომ „გუნდი ის არ არის, რაც ოდესღაც იყო“. მაგრამ, როგორც მიამბობდა ინფორმაციის გებეტი მიჩნევენ, „სელტიკს“ ყოველთვის შეუძლია იყიდოს ძლიერი ფეხბურთელები შოტლანდიის სხვა გუნდებიდან. ასე, მაგალითად, შეტეენი კაალერიერებლად ამ მოკლე ხანში „აკლტიკმა“ შეიძინა გარემარი პროვანი („კილმარნოკიდან“) და შოტლანდიაში საუკეთესოდ მიჩნეული ნახევარმცველი მაკლეოდი („დუმბარტონიდან“).

ესპანეთი

დიდი ინტერესი გამოიწვია XX ტურის მატჩებმა, რომელთა შემდეგ მადრიდის „რეალი“ დაეწია ლიდერს — სან-სებასტიანის „რეალს“. საქმე ისაა, რომ ბასკებმა ქულა დაკარგეს (0:0) სტუმრად „ვალენსიასთან“, მადრიდის „რეალმა“ კი ასევე სტუმრად სძლია — 2:0 თავის ძველ მეტოქეს „ბარსელონას“. მესამე ადგილზე მყოფმა „სპორტინგმა“ (ხიხონი) გამოტოვა მატჩი „უნიონთან“ (ლას-პალმასი).

XX ტურის შემდეგ 30-30 ქულა აქვთ მადრიდისა და სან-სებასტიანის „რეალის“ გუნდებს, ოღონდ ბურთების უკეთესი სხვაობით ლიდერობენ მადრიდელები. „სპორტინგს“ 25 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი აქვს. დანარჩენი გუნდები პირველი ადგილისთვის ბრძოლაში არ მონაწილეობენ.

საბერძნეთი

დიდი ხნის უფერული თამაშის შემდეგ შარშანდელმა ჩემპიონმა აეკ-მა (ათენი), ბოლოდაბოლოს გამოიღო ხელი — შინ ანგარიშით 3:1 სძლია ლიდერს — პაოკს (სალონიკი), თუმცა ლიდერობა ვერ დაკარგვინა. ამაობაში ათენში მეორე მნიშვნელოვანი მატჩი პირეოსის „ეთნიკოსსა“ და „პანათინაიკოსს“ შორის ფრედ დამთავრდა — 0:0.

XX ტურის შემდეგ 6 გუნდი იბრძვის ჩემპიონობისთვის. ესენია: პაოკ-ი (28 ქულა), „ეთნიკოსი“, სალონიკის „არისი“ (27-27 ქულა), პირეოსის „ოლიმპიაკოსი“ (26), აეკ-ი (25) და „პანათინაიკოსი“ (24 ქულა).

● ჰადრაკი

დარჩა ორი ტური

ქუთაისი, 22 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის მასობრივ ტურნირში, რომელშიც 70 მოჭადრაკე მონაწილეობს, კიდევ ორი (X, XI) ტურის შეხვედრები გაიმართა.

X ტურში ქუთაისის ჩემპიონი კ. შავგულიძე და ერთ-ერთი ლიდერთაგანი ი. სიფრაშვილი (სილნალი) საინტერესო თამაშის შემდეგ დაზავდნენ. დანარჩენმა ლიდერებმა წარმატება მიაღწიეს: დ. გურგენიძემ (საგარეჯო) მოუგო ტ. მეტრეველს (რუსთავი), ჯ. ბერაძემ (წყალტუბო) — ბ. ხეცურიანს (თბილისი), ვ. გიორგაძემ (ქუთაისი) — ე. გველესიანს (რუსთავი), მ. ჭიპაშვილმა (თბილისი) — ა. ბლიუმგარდს (ქუთაისი), ი. მანაშეროვმა (ხაშური) — ი. ბადალიანს (დმანისი), მ. არჩვაძემ (სამტრედია) — ქ. მზარეულას (ზუგდიდი).

XI ტურში პირველი მარცხი იწვნია შავგულიძემ მეტრეველთან შეხვედრაში. მანაშეროვი დამარცხდა არჩვაძესთან, გიორგაძე — ნ. ლობჟანიძესთან (წითელი წყარო). ზ. ლომინაძემ (ქუთაისი) გაიმარჯვა ნ. ლეკვეიშვილთან (სამტრედია). ყაიმზე შეთანხმდნენ სიფრაშვილი — გურგენიძე. გადაიდო ჭიპაშვილი — ბერაძის პარტია თბილისელი მოჭადრაკის მცირე უპირატესობით.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: დ. გურგენიძე — 9 ქულა, კ. შავგულიძე — 8,5, ჯ. ბერაძე — 8(1), ი. სიფრაშვილი — 8, ზ. ლომინაძე, მ. არჩვაძე, ტ. მეტრეველი, ნ. ლობჟანიძე — 7,5-7,5, მ. ჭიპაშვილი — 7(1).

სათამაშო დარჩა ორი ტური.

ზ. ბურკაძე.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

პირველი მეტაპიდანვე

4X5 კმ-ზე ქალთა ესტაფეტის წინ სპეციალისტებისა და ჟურნალისტების დავაში მოწინააღმდეგენი თითქმის თანაბრად გაიყვნენ. ერთნი უპირატესობას საბჭოთა ოსტატებს აძლევდნენ, მეორენი გდრ-ის გუნდს უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას. ისინი თავიანთ ვარაუდს იმით ხსნიდნენ, რომ გერმანელები ბოლო წლებში საგრძნობლად დაწინაურდნენ, რაც კლინგენტალსა და ლაჰტში გამარჯვებით დაიდასტურეს კიდეც. ამასთან, ლეიკ-პლესიდში ისინი შესანიშნავად გამოვიდნენ 5 კილომეტრზე ასპარეზობაში, მაგრამ წინა ორ ოლიმპიადაში ჩვენების იოლი გამარჯვება ბევრს ოპტიმისტურად განაწყობდა.

სამწუხაროდ ოპტიმისტების ვარაუდი არ გამართლდა: პირველივე ეტაპზე ნ. ბალდიჩევა მ. როსტოკს 2 წამით ჩამორჩა. მერე და მერე ეს სხვაობა საბჭოთა ქალებისა (ნ. როჩევა, გ. კულაკოვა, რ. სმეტანინა) და გდრ-ის (კ. ანდიგი, ვ. ჰესი, ბ. პეტცოლდი) გუნდებს შორის სულ უფრო მატულობდა.

როცა IV ეტაპზე პეტცოლდი და სმეტანინა წავიდნენ, ოქროს მედლების ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო გერმანელთა სასარგებლოდ, ამიტომაც სმეტანინას თავგამოდებას აზრი აღარ ჰქონდა. საბოლოოდ საბჭოთა ქალტეტი (1:03.18,30) „ვერცხლს“ დასჯერდა. ჩვენები ჩემპიონებს 1,07,20-ით ჩამორჩნენ.

ნორვეგიელები III ადგილზე გავიდნენ — 1:04.13,50.

თამაშების ცაბლო

გიგანტური სლალომი. ვაჟები. ი. სტენმარკი (შვეცია) — **2.40,74** (ორი დაშვების ჯამი), ა. ჯენსელი (ლიჰტენშტეინი) — **2.41,49**, ჰ. ენი (ავსტრია) — **2.42,51**, ბ. კრიფაი (იუგოსლავია) — **2.42,53**, უ. ლიუტი (შვეიცარია) — **2.42,75**, ბ. ნეკლერი (იტალია) — **2.42,95**... 9. ა. ეირავი — **2.44.07**... 15. ვ. ანდრეევი (ორივე — სსრკ) — **2.44,94**. ჯ. ცოგანოვი I ეტაპზე VI იყო, II ცდაში დაეცა და ბრძოლას ვერ ეთიშა.

ციგურაობა. 1500 მ. ვაჟები. ე. ჰაიდენი (აშშ) — **1.55,44** (ოლიმპიური რეკორდი), კ.-ა. სტენსჰელმეტი — **1.56,81**, ტ. ანდერსენი (ორივე — ნორვეგია) — **1.56,92**, ა. დიტელი (გდრ) — **1.57,14**, ი. კონდაკოვი (სსრკ) — **1.57,36**, ი.-ე. სტრუპოლტი (ნორვეგია) — **1.57,95**... 8. ვ. ლობანოვი — **1.59,30**; 9. ე. სუსლიკოვი (ორივე — სსრკ)—**1.59,47**.

სათხილამურო ორეული. ჟ. ველინგი (გდრ) — **432,2**, ი. კარიალაინენი (ფინეთი) — **929,5**, კ. ვინკლერი (გდრ) — **425,32**, ტ. სანდბერგი (ნორვეგია)—**418,465**, უ. დოტზაუერი (გდრ) —**418,415**, კ. ლუსტენბერგერი (შვეიცარია) — **412,21**, ა. მაიოროვი — **409,135**... 15. დ. კოლჩინი — **387,855**... 19. ს. ომელჩენკო (**ყველა** — სსრკ) — **378,975**.

ფიგურული სრიალი. სპორტული ცეკვა (სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამა). ნ. ლინიჩუკი და გ. კარპონოსოვი (**სსრკ**) — **205,48** (ადგილების ჯამი — 13), კ. რეგოცი და ა. სალია (უნგრეთი) —**204,52** (14), ი. მოისეევა და ა. მინენკოვი (სსრკ) — **201,86** (27), ლ. რუეხაკოვა და ს. დრასტიჩი (ჩეხოსლოვაკია) — **198,02** (39), დ. ტორვილი და კ. დინი (დიდი ბრიტანეთი) — **197,12** (42), ლ. უაიტი და დ. დაუდინგი (კანადა) — **193,8** (54)... 8. ნ. ბესტემიანოვა და ა. ბუკინი (სსრკ) — **188,18** (75).

ციგაობა. ვაჟები (ორადგილიანი). ჰ. რინი და ნ. ჰანი (გდრ I) — **1.19,331**, ჰ. გშნიტცერი და კ. ბრუნერი (იტალია I) — **1.19,606**, გ. ფლიუკინგერი და კ. შროუტი (ავსტრია) —**1.19,795**, გდრ-II — **1.19,914**, იტალია II — **1.19,976**, გფრ — **1.20,012**... 10. დ. ბრიომზე და ა. კრიკისი (სსრკ) — **1.20,662**.

სათხილამურო ესტაფეტა 4X10 კმ. ვაჟები. სსრკ (ვ. როჩევი, ნ. ბაუუკოვი, ე. ბელიაევი, ნ. ზიმიატოვი) — **1:57,03,46**, ნორვეგია (ლ. ერიკსენი, პ. ოლანდი, უ. აუნლი, ო. ბრო) — **1:58.45,77**, ფინეთი (ჰ. კირვესნიემი, პ.-ტ. ეურაიარვი, მ. პიტკიაინენი, ი. მიეტო) — **2:00.00,18**, გფრ — **2:00.22,75**, შვეცია — **2:00.42,71**, იტალია —**2:01.09,93**.

ციგურაობა. 3000 მ. ქალები. ბ. იენსენი (ნორვეგია) — **4.32,13** (ოლიმპიური რეკორდი), ს. ბეკერი (გდრ) — **4.32,72**, ბ. ჰაიდენი (აშშ) — **4.33,77**, ა. მიჩერლიხი (გდრ) — **4.37,69**, ქ. რის-ფერენცი (პოლონეთი) — **4.37,89**. მ. დოკტერი (აშშ) — **4.39,29**... 8. ნ. პეტრუსიოვა — **4.42,52**, ო. პლეშკოვა —**4.43,11**... 17. ვ. ლალენკოვა (ყველა — სსრკ) — **4.51,72**.

მედლები

ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშების პროგრამის უმეტეს სახეობაში ბრწყინვალედ ასპარეზობენ სსრ კავშირისა და გდრ-ის ოლიმპიელები, რომლებმაც 22. თებერვლისთვის 15 ოქროს მედალი მოიპოვეს. გდრ-ის სპორტსმენებმა სულ 19 მედალი დაისაკუთრეს. აქედან 6-6 ვერცხლისა და ბრინჯაოსი. საბჭოთა სპორტსმენებს კი 18 მედალი აქვთ, მათგან 5 ვერცხლის და 5 ბრინჯაოსი.

ამერიკელებმა სულ 8 ოლიმპიური ჯილდო მიიღეს. ოთხი ოქროს მედალი (რომელიც ე. ჰაიდენის წილად მოდის) და ორი ვერცხლისა და ბრინჯაოსი.

მოზაიკა...

ოლიმპიადაზე ჩამოსული მაყურებლებისთვის 550 ათასი ბილეთი იყო დამზადებული, მაგრამ ყველას გასაღება არ მოხერხდა. ღია ცისქვეშ გამართული შეჯიბრებებიდან ჯერჯერობით ყველაზე მეტი მაყურებელი (17 ათასი კაცი) დაესწრო 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომას. შეიძლება ეს რეკორდი ვაუმჯობესდეს 90-მეტრიან ტრამპლინზე „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრების დროს.

ერთ-ერთი ტბის მახლობლად გამვლელთა ყურადღებას იპყრობს უზარმაზარი, 5 მეტრის სიმაღლის ყინულის მტრედი, რომლის წინ ყინულისავე ბრიკეტებით გამოყვანილია ფრაზა — „სალამი პლანეტის სპორტსმენებს!“

„ამით ჩვენ გვსურს ახალგაზრდა ოლიმპიელებს ვუთხრათ, რომ მათ მშვიდობა და მეგობრობა სჭირდებათ“. — განუცხადა ჟურნალისტებს მისმა ერთ-ერთმა ლეიკ-პლესიდელმა ავტორმა ტ. მიულერმა.



ფოტოკლუბის 10 წელი

ახლახანს თბილისში, ჩაის სახლში თავი მოიყარეს ფოტოკლუბ „საქართველოს“ წევრებმა, რომლებმაც თავიანთი კლუბის დაარსების საიუბილეო თარიღი— 10 წლისთავი აღნიშნეს.

1969 წელს სწორედ ჩაის სახლში მოეწყო ფოტოკლუბის პირველი გამოფენა. მას შემდეგ „საქართველომ“ ფოტოსურათების 30-ზე მეტი ჩვენება გამართა როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე სსრ კავშირისა და უცხოეთის ქალაქებში. „საქართველომ“ გამოფენებსა და კონკურსებზე მონაწილეობისთვის, აგრეთვე, ფოტოხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში დიდი შემოქმედებითი მუშაობისთვის სპეციალური ჯილდოები მოიპოვა.

ამ წარმატებებისთვის უთუოდ თავისი უნდა მიეზღოს ფოტოკლუბ „საქართველოს“ დაარსების ინიციატორსა და მის უცვლელ ხელმძღვანელს, ცნობილ ფოტოხელოვან ს. კილაძეს, რომელიც შესაშური ენთუზიაზმით უძღვება საქმეს.

ფოტოკლუბის წევრებს, რომლებიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან, მხატვრული ფოტოგრაფიის საყვარული აერთიანებთ. ახლა მათი ნამუშევრების ნახვა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში შეიძლება. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 70-მდე ავტორის 200-მდე ნამუშევარი. გამოფენის თემატიკა მრავალფეროვანია. აქ ერთი კუთხე აქვს დათმობილი სპორტული ცხოვრების ამსახველ ნამუშევრებს. მათი ავტორები არიან თ. ბაქანიძე, ა. გურასაშვილი, ხ. ვართანიანცი, ლ. კახურაშვილი, ნ. ნოზაძე, ე. რუხაძე, ვ. ტრშენკო, თ. ქიქავა, ნ. ჩერქეზიშვილი და ნ. თათარაშვილი.

აქვეა ცნობილი ფოტოჟურნალისტისა და ალპინისტის, მთაში ტრაგიკულად დაღუპული გ. თიკანაძის ფოტოები.

და თუ „მერანის“ საგამოფენო დარბაზს კმაყოფილების გრძნობით ვტოვებთ, ამაში უთუოდ თავიანთი წვლილი მიუძღვით ზემოხსენებულ ავტორებს.

აღსანიშნავია, რომ ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან საუკეთესო ფოტოები შეირჩევა და მათი ექსპოზიცია იტალიაში მოეწყობა.

* * *

სურათებზე: ნამუშევრები საგამოფენო დარბაზიდან — გ. თიკანაძის „მთაში“; ლ. კახურაშვილის „დოღი“; ა. გურასაშვილის „ომი და მშვიდობა“.

● **მძლეოსნობა**

119:90

ასეთი ანგარიშით დამთავრდა სსრ კავშირისა და გდრ-ის იუნიორ მძლეოსანთა მეშვიდე საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, რომელიც გუშინ თბილისში, „გნთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში ჩატარდა. მასპინძლებმა— საბჭოთა სპორტსმენებმა ამ წარმატებას მიაღწიეს ვაუების შესანიშნავი გამოსვლით. მათ მეტოქეს მოუგეს — 79:42. ამ ასპარეზობის შემდეგ მეგობრობის მატჩების საერთო ანგარიში გახდა 4:3 ჩვენების სასარგებლოდ.

ტურნირზე განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ი. უხოვმა (სსრკ). მან სამხტომში იუნიორების საკავშირო მიღწევა დაამყარა — 16,24 მ.

მსოფლიო მიღწევით

მილანში გამართულ იტალიელ მძლეოსანთა ზამთრის პირველობაზე კ. მარტიოლიმ 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში დარბაზებისთვის მსოფლიო მიღწევა დაამყარა. მან აქაურ 200-მეტრიან წრიულ ბილიკზე 18.59,2 აჩვენა. აქვე ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში მსოფლიოს რეკორდსმენმა ს. სიმეონიმ დარბაზებისთვის თავისი ქვეყნის მიღწევა გაუმჯობესა — 196 სმ სიმაღლე დაძლია. მერე 2 მეტრს შეუტია, მაგრამ ამაოდ.

● **მშვილდოსნობა**

დავა დასრულდა

კლაიპედას მანეჟში დამთავრდა მშვილდოსანთა ზამთრის საკავშირო პირველობა ოლიმპიური პროგრამით. ვაჟთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა ჩიტელმა ვ. ეშეევმა („დინამო“). მან ოთხ დისტანციაზე ვარჯიშის ორჯერადი შესრულებით 2677 ქულა მოაგროვა (ეს მსოფლიო მიღწევაა). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ არმიელები გ. კირიჩენკო და ა. კისლიციხი—2577 და 2561 შესაბამისად.



ქალებში უძლიერესი იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი, არმიელი ნ. ბუტუზოვა — 2615. მან საბოლოო ჯამში 2 ქულით აჯობა თბილისელ საერთაშორისო კლასის ოსტატს თ. ლოსაბერიძეს („ბურევესტნიკი“). ბოლო ერიაში დინამოელ ზ. რუსტამოვას ასევე 2 ქულით გაასწრო არმიელმა ვ. კოვანმა, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.

შემდეგ ჩატარდა შეჯიბრებები 25 და 18 მეტრიდან. ქალთა შორის 25 მეტრიდან ასპარეზობაში იმარჯვა ბუტუზოვამ (575 ქულა 600-დან), ხოლო 18 მეტრზე ბადალი არ ჰყავდა მსოფლიო რეკორდსმენს ქ. ლოსაბერიძეს — 576. ორივეს ოქროს მედლები გადაეცა.

ვაჟებში ორივე დისტანციაზე პირველობა მოიგო კისლიციხმა — 585 და 578 ქულა შესაბამისად.

● **ცურვა**

ფართო წარმოადგენლობა

ლენინგრადი, 21 თებერვალი. აქ სტარტი აიღო სსრ კავშირის მოცურავეთა ზამთრის ჩემპიონატმა. შეჯიბრებაში საბჭოთა მოცურავეების გარდა მონაწილეობენ, აგრეთვე, უნგრეთის, კუბის, კვიპროსის, პოლონეთის, რუმინეთის, გფრ-ის, საფრანგეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოცურავეები. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა ვილნიუსელმა რ. ჟულპამ — 2.15,36.

ქალთა შორის გაიმარჯვა ლენინგრადელმა ს. ვარგანოვამ. აღსანიშნავია, რომ მისი შედეგი — 2.29,23 მეორეა მსოფლიო ცურვის ისტორიაში.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ქალთა შორის ცურვაში საუკეთესო იყო მოსკოველი ო. კლევკინა — 58,38, ხოლო ვაჟთა შორის — კიეველი ს. კრასიუკი — 52,25.

ხარკოველმა ს. ტიურინმა ყველას აჯობა 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 2.17,69, ხოლო ვაჟებში — უკრაინელმა ვ. ფეესენკომ — 2.00,01.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ბაზური ზამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380098, თბილისი, ლენინის ქ. № 14 **დეპეშებისთვის** — თბილისი, „ლელო“. **ტელეფონები: რედაქტორი** — 99-56-14, 93-97-50; **რედაქტორის მოადგილე** — 99-56-47; **პასუხისმგებელი მდივანი** — 93-97-52; **განყოფილებები: ფეხბურთის** — 99-81-71, 93-97-56; **მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის** — 93-97-55; **სპორტის პროპაგანდის** — 99-97-51; **მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის** — 93-97-53; **ჭადრაკის** — 93-97-86; **სამხატვრო** — 93-97-52; **წერილების** — 93-97-54; **კორექტორები** — 93-97-49; **გამოშვება** — 93-93-81; **ფოტოლაბორატორია** — 93-97-58; **მენქანეები** — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 20.

ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 **უე 10049**